

სსიპ შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი

ინდივიდუალური მეწარმე მანანა ლატარია  
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება  
ბაგა ბალი „ნინუცა“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი („შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი თეონა ხუფენია და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე მანანა ლატარია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბაგა ბალი „ნინუცა“ („შემდგომში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“), რომელსაც წარმოადგენს ხელმძღვანელი მანანა ლატარია - საქართველოს კანომდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

## მუხლი 1

### მემორანდუმის საგანი

**1.1.** მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას სტუდენტთა სასწავლო მოდულების ფარგლებში და საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით.

აღნიშნული მიზანი გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის „ბაგა ბალის აღზრდელ პედაგოგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

## მუხლი 2

### მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**2.1.** ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად „ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, თავისი მატერიალური - ტექნიკური ბაზის, ინვენტარის და ადმინისტრაციული პერსონალის ხელმძღვანელობით, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.

**2.2.** მოდულების სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებნ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვეულებებს და კომპეტენციებს.

**2.3.** მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის „ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტიკიულებით.

**2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.**

### **მუხლი. 3.**

#### **სასწავლო ბაზის გამოყენების საფასური**

**3.1 წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ბაზით სარგებლობისათვის ღირებულება და გადახდის ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება ხელშეკრულებით ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები.**

**3.2 სასწავლო პროცესის წარმმართველი სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტი**

### **მუხლი. 4.**

#### **მემორანდუმის მოქმედების ვადა**

**4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.**

### **მუხლი .5.**

#### **სხვა პირობები**

**მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.**

**5.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.**

**5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.**

**სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორი  
თეონა ხუფენია**



**ინდივიდუალური მეწარმე მანანა ლატარია  
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება  
ბაგა ბალი „ნინუცა“  
ხელმძღვანელი  
მანანა ლატარია -----**